ოქმი:**ო87. 8723124001**
თარიღი:**04/05/2023**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომა

ოქმი №6

ქ. ახმეტა, 03 მაისი, 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ.ონიაშვილი, გ.ქიბროწაშვილი
გ.შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ.კაიშვილი,
ზ. ფიცხელაური, ლ. ვაჩეიშვილი, შ.ხოხობაშვილი
თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, ე.ბაღაკაშვილი,ზ.უძილაური
გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი, თ.მოზაიძე
გ.ბართიშვილი, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური
ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მაზიაშვილი, ს.ბაბულაიძე
ე.ფეტვიაშვილი, ე.მარკოზაშვილი,

სხდომა გაიხსნა 12^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი:

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი -ილია გუმაშვილი/

3. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

4. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტებს.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8- კ.მაზიაშვილი, თ.მოზაიძე, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი

დღის წესრიგი დამტკიცდა.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209 3 მუხლში შევიდა ცვლილება,

რომლის მიხედვითაც სამართალდარღვევათა კოდექსის 46 5 , 46 6 , 55 2 , 55 6 , 77 1 , 77 2

მუხლებით, 82 5 მუხლით (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის

ნაწილში), 119 1 მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 134 1 , 146 1 , 148-ე (გარდა მე-3

ნაწილისა) და 150-150 1 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151 2 , 152-ე, 152 2 , 152 5 -

152 9 და 153 4 მუხლებით, 156 1 , 158 5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე, 159 1 ,

46 5 , 46 6 , 172 8 და 172 9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ

საამართალდარღვეთა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული.

ეს სამართალდარღვევებია:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობისა და აღზრდის სფეროში:

ა.ა) სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა;

ა.გ) ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის დაზიანება;

ა.დ) დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება;

ა.ე) ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება;

ა.ვ) პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის - ,,პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა.

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევები სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარულ-სანიტარულ სფეროში:

ბ.ა) ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა.

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ტრანსპორტის და საგზაო მეურნეობის დარგში:

გ.ა) გზის საფარის დანაგვიანება ან დაზიანება;

გ.ბ) სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოება;

გ.გ) კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა.

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში:

დ.ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა;

დ.ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა;

დ.გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების

დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება;

დ.დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან/და დაცული ტერიტორიის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე (გარდა სახელმწიფო ტყის მიწისა) მწვანე ნარგავის/ნარგავების თვითნებური მოჭრა ან/და გადაბელვა;

დ.ე) ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას;

დ.ვ) საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა;

დ.ზ) ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება;

დ.თ) მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება;

დ.ი) ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირება;

დ.კ) ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა;

დ.ლ) სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსება.

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ვაჭრობისა და ფინანსების დარგში:

ე.ა) გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე;

ე.ბ) პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვნისთვის მიყიდვა;

ე.გ) რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა;

ე.დ) არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება);

ვ) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები:

ვ.ა) საჯარო კინოჩვენებაზე ბავშვის დასწრების წესების დარღვევა;

ვ.ბ) ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა სახის ბეჭდური მედიის პუბლიკაციების ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აღნიშნული უფლებამოსილებები ენიჭებათ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურს და ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურებს და ამ სამსახურების უფლებამოსილებებში მოხდება მათი ასახვა. ასევე, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი საჭიროებს შესწორებას და მოხდება აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის შესწორება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8- კ.მაზიაშვილი, თ.მოზაიძე, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 17 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი და აღნიშნა, რომ დებულების ცვლილება განაპირობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209 3 მუხლში შესულმა ცვლილებამ. აქ წარმოდგენილ გარკვეული სახის ადმინისტრაციულ საამართალდარღვეთა საქმეებს განიხილავს მერიის იურიდიული სამსახური, რაც აისახება მის დებულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8- კ.მაზიაშვილი, თ.მოზაიძე, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 18 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების 1-ლი მუხლის პირველ პუნქტში, მე-3 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნტში და მე-4 მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტში, სადაც აისახება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა კოდექსის 46 5, 46 6, 172 8 და 172 9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იდენტიფიცირების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის, დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და სახდელის შეფარდების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25- საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8- კ.მაზიაშვილი, თ.მოზაიძე, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 19 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

<u>მოისმინეს:</u> ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. მოხდა აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება -ახმეტის ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის (საიდენტიფიკაციოკოდი 224631478) და ა(ა)იპ სკოლის გარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი 224630095) შერწყმის შედეგად ცვლილებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შიდა პარამეტრების ცვლილებების ასახვა.

ა(ა)იპ-ებში განხორციელებული შერწყმის შედეგად შეიქმნა **ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება (საიდენტიფიკაციო კოდი 224630095)**

შემოსულობები: შემოსულობების ნაწილი არ შეცვლილა

საგასავლო ნაწილი: ხარჯვითი ნაწილის შიდა პარამეტრების ცვლილების შედეგად განხორციელდა

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებები,კერძოდ :

ზრდა:

1. გზის ხარჯებს ქ.ახმეტის ქუჩების ორმული შეკეთებისათვის დაემატა 30,0 ათასი ლარი,

2. აიპ სოციალური სახლის სუბსიდია გაიზარდა 4,0 ათასი ლარით .(ჰასპის პროგრამა2,4 ათასი ლარი,მედიკამენტები 0,8 ლარი, წყალი 0,8 ათასი ლარი)

3. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება რომელიც შეიქმნა ორი აიპის შერწყმის შედეგად (საიდენტიფიკაციო კოდი 224630095) გაიზარდა 242,1 ათასი ლარით.მათ შორის 1,სუბსიდია გაიზარდა 218,7 ათასი ლარით(აქ შედის აგრეთვე აიპ მამიაურის სკოლიდან კრივის წრის ხარჯები (ხელფასი ,მივლინება)18,9 ათასი ლარი 2. კაპიტალური 4,5 ათასი ლარი

სულ ზრდა 276,1 ათასი ლარი

კლება:

1. სკოლამდელი დაწესებულებების მსენებლობა რებილიტაციის (საბავშვო ბაღების არაფინანსური ხარჯები მერიაში) შემცირდა 30,0 ათასი ლარით (კოღოთოს და აწყურის საბავშვო ბაღების ეკონომიების ხარჯზე)

2. ა(ა)იპსოციალური სახლის არაფინანსური აქტივის ოდენობა შემცირდა 4,0 ათასი ლარით (გადატანილი იქნა სუბსიდიაში)

3. ა(ა)იპ სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება -ახმეტის ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის (საიდენტიფიკაციოკოდი 224631478) ხარჯები შერწყმის შედეგად შემცირდა 223,2 ათასი ლარით .მშ სუბსიდია შემცირდა 218,7 ათასი ლარით,ხოლო კაპიტალური ხარჯები შემცირდა 4,5 ათასი ლარით.

4. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანების სუბსიდია(კრივის წრის ხარჯები. ხელფასი და მივლინება) შემცირდა 18,9 ათასი ლარით

სულ კლება 276,1 ათასი ლარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25- საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო 8- კ.მაზიაშვილი, თ.მოზაიძე, ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, ს.ბაბულაიძე, გ.შორთიშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 20 -,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ არის წინადადებები და შენიშვნები.

საკრებულოს წევრმა თინათინ მოზაიძემ აღნიშნა, რომ სურს გააკეთოს განცხადება სასკოლო კვების პროგრამასთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში მხარდაჭერა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12^{45} საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი